GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 15 – 22 Mayıs / მაისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon/ინფლაცია
3 716.9	4 763.5	5.1 %	11.6 %	6.9%

23 Mayıs'tan İtibaren Olağanüstü Hal ve Sokağa Çıkma Yasağı Kaldırılacak
23 მაისიდან საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი უქმდება

Gürcistan Başbakanı Giorgi Gakharia hükümet toplantısında Covid-19 salgına rağmen ülkenin rasyonel ve dikkatli bir şekilde normal yaşam tarzına dönmesi gerektiğini belirtti. Hükümet Olağanüstü Halin ve Sokağa Çıkma Yasağın 23 Mayıs'tan itibaren uzatılmamasına karar verdi, ancak ülkede mevcut bazı kısıtlamalar henüz devam edecektir. Arabalarda üçten fazla kişinin bulunmasıyla ilgili kısıtlama kaldırıldı, ancak toplu taşım hizmetlerin yenilenme tarihi henüz belirlenmiyor.

Aynı zamanda, Gürcistan hükümeti ekonominin yenilemek için çalışmalarını devam ediyor. Bu dönemde özel dikkat turizm sektörüne verilmektedir. Hava trafiğin yenilemek ve ülkeye turistlerin çekmek için Ekonomi Bakanı Natia Turnava ve yardımcısı ortak ülkelerin temsilcileri ile günlük olarak video konferanslar düzenliyor. Sayın Turnava video konferans yöntemi ile T.C. Kültür ve Turizm Bakanı Mehmet Nuri Ersoy ile, Macaristan Büyükelçisi Victoria Horvat ile, Litvanya Ulaştırma ve Haberleşme Bakanı Yaroslav Narkevich ile, Yunanistan Turizm Bakanıyla, Ukrayna Altyapı ve Ulaşım Bakanı Vladislav Krikli ile ve AB Ekonomik Temsilciliği Başkanı Domenic Papenheim ile görüşmüş.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, 21 მაისს მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ დროა პანდემიის მიუხედავად ქვეყანა რაციონალურად და ფრთხილად ცხოვრების ნორმალურ წესს დაუბრუნდეს. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, 23 მაისიდან აღარ გაგრძელდეს საგანგებო მდგომარეობა და შესაბამისად კომენდანტის საათი, თუმცაღა ქვეყანაში მოქმედი გარკვეული შეზღუდვები ჯერ კიდევ დარჩება. ავტომობილებში სამ ადამიანზე მეტის ყოფნის თაობაზე შეზღუდვა იხსნება, თუმცაღა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამუშავების თარიღი ჯერჯერობით უცნობია.
აღნიშნულთან ერთად საქართველოს მთავრობა და ეკონომიკური ჯგუფი განაგრძობს მუშაობას ქვეყნის ეკონომიკის ხელახლა ამუშავების კუთხით. აღნიშნული პერიოდისთვის განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ტურიზმის სექტორზე. ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა და მისი მოადგილე ყოველდღიურ რეჟიმში მართავენ ვიდეო კონფერენციებს პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან, ავია მიმოსვლის განახლების და ქვეყანაში ტურისტების ხელახლად მოზიდვის მიზნით. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკის მინისტრმა შეხვედრები გამართა თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრ მეჰმეთ ნური ერსოისთან, უნგრეთის ელჩთან ვიქტორია ჰორვატთან, ლიეტუვას ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრ იაროსლავ ნარკევიჩთან, საბერძნეთის ტურიზმის მინისტრთან,

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · EM Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

უკრაინის ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის მინისტრთან ვლადისლავ კრიკლისთან, ევროკავშირის წარმომადგენლობის ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელ დომენიკ პაპენჰაიმთან.

Gürcistan'ın Dış Ticareti – Ocak – Nisan 2020 Yılı
საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2020 წ. იანვარ - აპრილი

2020 yılı Ocak-Nisan döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 3 463.5 milyon ABD doları teşkil etmiştir ve ru rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %11.8 ile daha azdır. İhracat 1 001.3 milyon ABD dolar (düşüş oranı %11.9), ithalat ise – 2 462.2 milyon ABD doları (düşüş oranı %11.8) olmuştur. Negatif ticaret bilançosu 1 460.8 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun % 42.2 teşkil etmiştir.

2020 წლის იანვარ-აპრილში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 3 463.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11.8 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 1 001.3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (11.9 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 2 462.2 მლნ. აშშ დოლარს (11.8 პროცენტით ნაკლებია). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2020 წლის იანვარ-აპრილში, 1 460.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 42.2 პროცენტია.

İhracat ve İthalat Dinamikleri / ექსპორტის და იმპორტის დინამიკა



2020 yılı Ocak – Nisan döneminde Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ticaret ortağının payı %70.1 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye 469.3 mln $, Rusya 395.7 mln $ ve Azerbaycan – 367.0 mln $.

2020 წლის იანვარ-აპრილში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 70.1 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (469.3 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (395.7 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (367.0 მლნ. აშშ დოლარი).

2020 yılı Ocak-Nisan döneminde Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük on ticaret ortağının payı %78.1 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Azerbaycan – 145.2 mln $, Çin – 135.5 mln $, Rusya – 125.6 mln $.

2020 წლის იანვარ-აპრილში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 78.1 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: აზერბაიჯანი (145.2 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (135.5 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (125.6 მლნ. აშშ დოლარი).

2020 yılı Ocak ay döneminde Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük on ticaret ortağının payı %68.9 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye – 406.0 mln $, Rusya – 270.1 mln $, Azerbaycan – 221.8 mln $.

2020 წლის იანვარ-აპრილში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 68.9 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (406.0 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (270.1 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (221.8 მლნ. აშშ დოლარი).

Korona Virüs
კორონა ვირუსი

Son istatistik verilerine göre dünya çapında Korona Virüs vakalarının sayısı 5 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 5 208 836, vefat eden kişi sayısı – 334 862, iyileşen kişi sayısı – 2 092 603. En çok vaka sayısı ABD, Rusya, Brezilya, İspanya, Birleşik Krallık ve İtalya'da görülmüştür. Konu ile alakalı diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 5 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 5 208 836 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 334 862 პაციენტი, ხოლო გამოჯანმრთელდა 2 092 603 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული ამ ეტაპისთვის აშშ-ს, რუსეთს, ბრაზილიას,



ესპანეთს, გაერთიანებულ სამეფოს და იტალიას ჰყავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი სტატისტიკა ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka ფაქტი	Ölüm გარდაცვალება	İyileşme გამოჯანმრთელება	Hasta პაციენტი
ABD / აშშ	1,621,196	96,359	382,244	1,142,593
Rusya / რუსეთი	326,448	3,249	99,825	223,374
Brezilya / ბრაზილია	310,921	20,082	125,960	164,879
İspanya / ესპანეთი	280,117	27,940	196,958	55,219
Birleşik Krallık / დიდი ბრიტანეთი	250,908	36,042	N/A	N/A
İtalya / იტალია	228,006	32,486	134,560	60,960
Fransa / საფრანგეთი	181,826	28,215	63,858	89,753
Almanya / გერმანია	179,021	8,309	159,000	11,712
Türkiye / თურქეთი	153,548	4,249	114,990	34,309
İran / ირანი	129,341	7,249	100,564	21,528
Gürcistan / საქართველო	723	12	495	216
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	5,208,836	334,862	2,092,603	2,781,371

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (22.05.2020)

USD/GEL – 3.1920 TRY/GEL – 0.4688 EUR/GEL – 3.5058 GBP/GEL – 3.9057

GEL/USD

15 – 22 Mayıs 2020

TRY/USD

15 – 22 Mayıs 2020

TRY/GEL

15 – 22 Mayıs 2020